პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 69 (7630)

10 აპრილი,
სამშაბათი.
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

კროსის წინაც გაუჩნდათ თავსატეხი (მე-2 გვ.)
მამის ნაკვალევზე (მე-2 გვ.)
პირველი ლიგის იღბლიანი სტარტი (მე-3 გვ.)
ვილნიუსში უთამაშია მაია ჩიბურდანიძესაც (მე-4 გვ.)
მხცოვანი სპეციალისტი შემტევი ფეხბურთის თაყვანისმცემელია (მე-4 გვ.)

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა, რომ სასიხარულო და მისასალმებელია სპორტული პრესის სხვაგვარი, უფრო საინტერესო და პროფესიული დამოკიდებულება პრობლემებისადმი. ბევრი საკითხი უფრო მწვავედ და პრინციპულად შუქდება, რაც, როგორც ჩანს, არ მოსწონს ზოგიერთ ჩვენს სპორტულ ხელმძღვანელს. ისინი ალბათ გადაეჩვივნენ კრიტიკას. უნდა დავძლიოთ ეს ნაკლი, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ პრესის პოზიციისადმი, ეფექტიანად გამოვიყენოთ ეს ტრიბუნა პრინციპული მსჯელობისათვის.

ძალა ერთობაშია

ინფორმაცია საერთოდ ჟურნალისტიკისა და კერძოდ სპორტული ჟურნალისტიკის უპირველესი ჟანრია, ხოლო ჟურნალისტებს სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა დარგის ინფორმატორებს. მართლაც, მოზღვავებული ინფორმაციის საუკუნეში ამ ჟანრს კიდევ მეტი აქტუალობა და მნიშვნელობა ენიჭება. მკითხველს სურს ოპერატიულად, უსწრაფესად გაიგოს ახალი ამბები და, ცოტა არ იყოს, შუბლსაც შეიჭმუხნის, როცა გაზეთი ან მასობრივი ინფორმაციის რომელიმე სხვა საშუალება ახალი ამბის ნაცვლად მოძველებულ, ზოგჯერ ყავლგასულ და „დამწნილებულ" ინფორმაციას სთავაზობს. ასეთი ინფორმაციის ხვედრი არც ერთ გამოცემას არ შემურდება.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა საცოდაობა იქნებოდა, გაზეთი მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციაზე რომ იყოს დანდობილი, ხოლო ჟურნალისტი — მარტო ინფორმატორის მისიას ასრულებდეს. ჯერ ერთი, თვით გამოცემა გადაიქცეოდა ერთფეროვან და მოსაწყენ საკითხავად, მეორეც, მისი ფურცლებიდან განიდევნებოდა მსჯელობა, ანალიზი, ცუდისა და კარგის გარჩევა, ფიქრი საჭირბოროტო, პრობლემურ საზოგადოებრივ საკითხებზე. არადა, სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტული სპეციალისტიც კი, რომელსაც სხვებზე მეტად უნდა აწუხებდეს და აღონებდეს ქართული სპორტული მოძრაობის ესა თუ ის ნაკლოვანება, პირდაპირ გვიცხადებს ხოლმე: სპორტული გამოცემის საქმე არის ინფორმაცია, ხოლო ანალიზი — სპეციალისტებისაო. კი, ბატონო, ვთქვათ და დავუჯეროთ ამ საეჭვო ღირსების რჩევასა თუ თვალსაზრისს; მაგრამ სპეციალისტი სათოფეზე რომ არ ეკარება სპორტულ გაზეთს? როგორ მოვიქცეთ, დავსხდეთ ინფორმაციის წერად და ანალიზზე ხელი ავილოთ, ვიდრე სპეციალისტს არ მოეგუნებება რედაქციის კარის შემოღება და თავისი კომპეტენტური მოსაზრების საჯაროდ გამოტანა? ვერაფერი ლოგიკაა, პირდაპირ უნდა ვთქვათ.

არანაკლებ მწვავედ დგას წლების მანძილზე ჟურნალისტის უფლებამოსილების პრობლემა სპორტულ სამყაროში. თუნდაც იმის გამო, რომ მას პროფესიად აქვს არჩეული სპორტულ თემაზე წერა, იგი უკვე სპეციალისტია ამ დარგისა და ამიტომ მისი კომპეტენტურობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მით უმეტეს, რომ გამოქვეყნებამდე ორი-სამი კაცი მაინც ამოწმებს წერილის მართებულობას. ღმერთმა დაგვიფაროს იმის ფიქრისაგან, თითქოს ჟურნალისტს შეცდომა არ მოსდიოდეს და მისი მოსაზრება შეუვალი, ერთადერთი იყოს. სამწუხაროდ, სხვა დარგების წარმომადგენელთა, იმავე მწვრთნელ-სპეციალისტთა დარად, ყველა ჟურნალისტი თანაბრად ძლიერი არ არის და მათ შორის საკმაო სხვაობაცაა პროფესიონალიზმის თვალსაზრისით. მაგრამ აუკრძალო ჟურნალისტს პრობლემურ, კრიტიკულ თემებზე წერა იმ მოტივით, თითქოს ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდეს და, მით უფრო, ვიღაცას ანაწყენებდეს, მეტი რომ არა ვთქვათ, დემაგოგიაა.

როცა ამას ვწერთ, კონკრეტული ფაქტების სერია გვაქვს მხედველობაში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჯერჯერობით მათი გამომზეურებისაგან თავს ვიკავებთ. ისე კი უნდა ვთქვათ, სასაცილოზე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, გულუბრყვილო მოსაზრებები იმის თაობაზე, თითქოს გაზეთმა, კრიტიკას ვინ ჩივის, პოზიტიური მასალაც არ უნდა გამოაქვეყნოს: თურმე ერთ სპეციალისტს მეორესთან კარგი ურთიერთობა არ აქვს და ამიტომ მისი ყოველი წარმატება ისარივით ესობა გულში (საამისო მაგალითი, სამწუხაროდ, ერთი და ორი როდი გვაქვს).

არიან ჩვენს სპორტში ისეთი სპეციალისტებიც, რომლებიც ერთხელ და ორჯერ ჩინებული შედეგებით გაგვახარებენ, მაგრამ რად გინდა: წარმატებებისგან თავბრუ დაეხვევათ, თავიანთ თავს სპორტული მოძრაობის „ჭიპად" წარმოიდგენენ და ვერც ერთი „კონკურენტის" წარმატებას ველარ იტანენ. ასეთ, უკაცრაული პასუხია, სპეციალისტებს ავიწყდებათ, რომ ქართულ სპორტში „შენი და ჩემი" წარმატება არ არსებობს, ისინი არავის გაუყვია; თუ სხვისი სიკეთე ვერ აგიტანია და გულს გიკლავს, მაშინ არც სპორტის პატრიოტი ყოფილხარ, არც სრულფასოვანი სპეციალისტი და, რაც ყველაზე სავალალოა, არც სრულფასოვანი ადამიანი. ასეთი ადამიანი მოსდგება ჟურნალისტებს და შავ დღეს დააყრის: როგორ გაბედე და ამა და ამ სპეციალისტს „რეკლამა" გაუწიე, როცა იგი ჩემი მტერიაო.

ისმის კითხვა: უნდა აჰყვეს თუ არა გაზეთი ასეთ ყიამყრალ, ეგოიზმით გულგასენილ ხალხს? ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

დაბოლოს, რისთვისაც დაიწერა ეს წერილი: სპეციალისტი და ჟურნალისტი ერთმანეთს კი არ უნდა ჩაუსაფრდნენ, ერთობლივად უნდა აკეთონ საერთო საქმე, მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო პრეტენზიებს და წვრილმან საკითხებზე დავაკამათს კი არ უნდა გადაჰყვნენ, არამედ ყურადღება გაამახვილონ ყველაზე მთავარ, ყველაზე სამურ პრობლემებზე.

ასე გვესახება სპორტული ჟურნალისტისა და სპორტის სპეციალისტის თანამშრომლობა, რომელიც ერთადერთ საქმეს უნდა წაადგეს: რესპუბლიკის სპორტის სადღეისო და სამერმისო საკითხების მოგვარებას.

ჭადრაკი

მივულოცოთ ნანას!

მოსკოვი, 9 აპრილი (ტელეფონით). გუშინ აქ დამთავრდა მოსკოვის ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

10,5 ქულით I ადგილი დაიკავა ნანა იოსელიანმა. დასკვნით ორ ტურში მან სძლია მოსკოვის ჩემპიონს ლ. ზაიცევას და ა. ვოისკას (პოლონეთი). აღსანიშნავია, რომ ბოლო 8 შეხვედრაში ნანამ 7,5 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრებაში 7 ქვეყნის 14 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საერთაშორისო დიდოსტატი ნანა იოსელიანი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

უკანასკნელ ხანს ჩვენში სასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრდა მორბენლის, მოცურავის, მოთხილამურის, ფეხბურთელის, მოჭიდავის დღეები. ყველა ამ დღესასწაულებიდან განსაკუთრებით გამორჩეულია ჯანმრთელობისა და სპორტის დღე, რომელიც წლეულს გაცილებით მასობრივი იყო და ქალაქის დიდი ნაწილი მოიცვა.

ყველასათვის სასარგებლო და ხელმისაწვდომი

ჯანმრთელობის დღესასწაული ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. გასულ კვირას თბილისის ყველა უბანში, ყველა ქუჩაზე საზეიმო განწყობილება სუფევდა — დილაადრიან სპორტული ბაზებისა და პარკებისკენ უწყვეტ ნაკადად დაიძრა ხალხი.

ქალაქის ათივე რაიონში მასობრივი შეჯიბრებები წელს უფრო მრავალფეროვანი გამოდგა. სავალდებულო პროგრამაში სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობებიც შედიოდა. ახლა ყველგან უკეთ იყო ორგანიზებული მასობრივი ვაჭრობა სპორტული საქონლით. რაც მთავარია, უხვად იყიდებოდა ის სპორტული ინვენტარი და ნივთები, რომლებზეც მუდამ დიდი მოთხოვნაა.

რედაქციის მუშაკებს შესაძლებლობა გვქონდა ამ ღონისძიების შემფასებელი კომისიის წევრებთან ერთად შემოგვევლო ყველა ობიექტი. ეს იყო თავისებური დაუსწრებელი შეჯიბრება დედაქალაქის რაიონებს შორისაც. ცხადია, გამოვლინდა საუკეთესო კოლექტივიც — 26 კომისრის სახელობის რაიონი. დღესასწაულს საზეიმო ელფერი ამ რაიონის ფიზკულტურული მუშაკების, საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების ხელმძღვანელთა ერთობლივი გარჯით მიეცა. გონივრულად იყო მოფიქრებული პროგრამა, უკრავდა ორკესტრი. აქვე უნდა დავასახელოთ მე-49, 77-ე, მე-80, 86-ე, 87-ე, 103-ე სკოლების, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნისა" და ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის კოლექტივები, რომელთა წარმომადგენლებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. მომავლისთვის სწორედ ამ რაიონის გამოცდილება უნდა განზოგადდეს, რათა, როგორც ბევრგან მოხდა, დღესასწაული უღიმღამოდ, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით არ ჩატარდეს. სამწუხაროდ, ეს ღონისძიება მიმზიდველად და ორგანიზებულად ვერ ჩატარდა კუს ტბაზე (ორჯონიკიძის რაიონი), იპოდრომზე კი მასობრივი შეჯიბრების მონაწილენი ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალს შეჯიბრებებს.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მასობრივი შეჯიბრებები დილის 10 საათისთვის იყო დანიშნული, ამ დროისთვის ხალხიც ბლომად შეგროვდა, მაგრამ წინასასტარტო „რეპეტიცია" თითქმის საათ-ნახევარს გაგრძელდა. ეს ფაქტი, ცხადია, ასპარეზობის ორგანიზატორთა სასარგებლოდ არ მეტყველებს, კროსი, მინი-ფეხბურთი, ბაგირის გადაძალვა, კრივი, სიმძიმეების

(დასასრული მე-2 გვ.)

ჭადრაკი

გაიმარჯვა გარი კასპაროვმა

ახალგაზრდა მოჭადრაკემ, ბაქოელმა დიდოსტატმა გარი კასპაროვმა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეცამეტე პარტია ვასილ სმისლოვთან ყაიმით დაამთავრა და ანგარიში გახდა 8,5:4,5 მის სასარგებლოდ.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს უმაღლესი ტიტულისათვის ბრძოლაში შეხვდება გარი კასპაროვი.

ისევ დაზავდნენ

ჰააგიდან (ჰოლანდია) იტყობინებიან, რომ ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობის მატჩის მეთხუთმეტე პარტიაც ყაიმით დასრულდა. 30-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა ვ. ვირნიმ (სსრ კავშირი),

შაში

რომელიც შავებით თამაშობდა.

ორთაბრძოლის ანგარიშია 8:7 (+1=14) მსოფლიო ჩემპიონ ჰ. ვირსმას (ჰოლანდია) სასარგებლოდ.

რეპლიკა

ტრადიციულის ტრადიციული ხარვეზები

ბორჯომელთა გუნდის წევრმა სერგო ვართანოვმა კროსის ათკილომეტრიანი დისტანციის დამთავრების შემდეგ (ფინიშთან უკანასკნელი მივიდა) რამდენიმე ათეული მეტრი კიდევ გაიარა და ბუჩქებში მოცელილივით დაეცა. იგი შემთხვევით შენიშნა შეჯიბრების ერთ-ერთმა მონაწილემ და სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ გაიქცა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მანქანით საავადმყოფოში ვართანოვის თანაგუნდელი რუსუდან ინდუაშვილი წაეყვანათ, რომელიც ასპარეზობისას ასევე ცუდად გამხდარიყო. შოკში ჩავარდნილ უიღბლო კროსმენს ისევ სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა აღმოუჩინეს პირველი დახმარება.

ეს უსიამოვნო ინციდენტი თბილისის იპოდრომზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მძლეოსნური კროსის ფინალის დასასრულს მოხდა. იპოდრომზე თავმოყრილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა თვალნათლივ იხილეს თუ რა სავალალო შედეგი მოსდევს იმ ხელმძღვანელების დაუდევრობას, რომლებიც გუნდს მოუმზადებელი სპორტსმენებით აკომპლექტებენ. საკვირველია ის, რომ განაცხადში, როგორც ინდუაშვილის, ისე ვართანოვის გვარის გასწვრივ ბორჯომის საავადმყოფოს სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილების ბეჭედიც იყო და ექიმის ხელმოწერაც.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს კროსის წინა დღესაც გაუჩნდათ ათასი თავსატეხი: ბევრი გუნდის წარმომადგენელმა არ იცოდა, როგორ შეევსო საგანაცხადო ბარათები, ზოგს სპორტსმენის წლოვანების დამადასტურებელი მოწმობები არ აღმოაჩნდა, არადა შეჯიბრების მონაწილენი ოთხ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. სამანდატო კომისიამ ექიმის სათანადოდ გაფორმებული ნებართვის უქონლობის გამო თეთრი წყაროს რაიონის ნაკრები შეჯიბრებაზე საერთოდ არ დაუშვა.

მძლეოსნური კროსების უმრავლესობა ტრადიციულია, მაგრა ტრადიციულია ის ხარვეზებიც, რა ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობის გამო ამ შეჯიბრებას ახლავს თან. თუ მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებები არ დავსახეთ, ჩვენი მძლეოსნობ მკვებავ ერთ-ერთ წყაროს თვითონვე დავუშრობთ სათავეს.

ყველასთვის სასარგებლო და ხელმისაწვდომი

დასასრული

აწევა, ერთდროული სეანსი ჭადრაკში... ასეთი იყო პროგრამა. პარკში თავი მოიყარეს 1 მაისის სახელობის რაიონის ათამდე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ტექნიკური სასწავლებლების, სახლმმართველობათა გუნდებმა. სხვებთან ერთად შეჯიბრებაში ხალისით ჩაებნენ უფროსი ასაკის ადამიანებიც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მორბენალთა შეჯიბრებამ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არ იყო სტარტისა და ფინიშის ნიშნები, არც კროსის ტრასა ჰქონდათ შემოსაზღვრული.

უკმაყოფილონი ტოვებდნენ პარკს „განთიადის" სპორტული სკოლის ნორჩი მოკრივეები, რომლებიც აქ საჩვენებელი ორთაბრძოლების ჩასატარებლად მოვიდნენ.

— ბავშვები ისე მოდიოდნენ, როგორც ნამდვილ ზეიმზე, აქ კი ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია, — გვითხრა სპორტსკოლის მწვრთნელმა ალბერტ ელისონიანმა, — საასპარეზო ადგილზე ნაგავი და ფიცრები ეყარა... შეჯიბრებები შარშან უკეთესად იყო ორგანიზებული.

სახალხო დღესასწაულები იმითაც არის ლამაზი და მიმზიდველი, რომ ამ დროს ყველა ასაკის ადამიანებს ერთნაირი საზეიმო განწყობილება ეუფლებათ. გუშინწინდელი ჯანმრთელობის დღესასწაულიც ბავშვებმა ტაალმაზეს, მოზრდილებთან ერთად მათაც შეავსეს თბილისის სპორტული ბაზები, სკვერები და პარკები. ლენინის რაიონის უმცროსი ასაკის მოსწავლეებმა, მაგალითად, საზეიმოდ მორთულ ვ. კიკვიძის პარკში მოიყარეს თავი, სადაც ფეხბურთიც ითამაშეს, კალათბურთიც და ფრენბურთიც, ჭადრაკიც და შაშიც. ერთი სიტყვით, ბავშვებმა სპორტული დღესასწაულის წინასწარ შედგენილი პროგრამა პირნათლად შეასრულეს, მაგრამ ჩვენ, შეჯიბრების სანახავად მოსულთ, მაინც უკმაყოფილების გრძნობა დაგვეუფლა.

საქმე ისაა, რომ ბევრ მოსწავლეს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ რისთვის მოიყვანეს აქ: რა ვიცით, რაღაც შეჯიბრებაა... რაღაც სპარტაკიადააო, — აი, როგორ გვპასუხობდნენ. ბევრი კამათი და დასაბუთება არ სჭირდება იმას, რომ ამგვარი ზეიმისათვის ბავშვები საგანგებოდ უნდა მოვამზადოთ, უნდა ავუხსნათ მისი არსი და დანიშნულება, ვეცადოთ, რომ ასპარეზობა მათთვის საინტერესოდ წარიმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამ სპორტულ ზეიმზე მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად მოვლენ და მიღებული შთაბეჭდილება სულ მალე შარშანდელი თოვლივით გაუქრებათ.

შაშვები დიღმის ტყე-პარკიდან

დიღმის ტყე-პარკში მაყურებელთა ყველაზე დიდი ინტერესი ქართულმა ჭიდაობამ გამოიწვია, გუშინწინ ჩატარებულ „ჯანმრთელობის დღისადმი" მიძღვნილ ზეიმს კი მაყურებელი არ დაკლებია. დილიდანვე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი თბილისელთა ამ უსაყვარლეს პარკში, სადაც ყველა შეჯიბრება მართლაც მშვენივრად იყ ორგანიზებული.

სწორედ აქ გავიცანით „საქელექტრომონტაჟმშენის" მომპირკეთებელი ნოდარ ქევხიშვილი, რომელიც „ჯანმრთელობის დღეზე" თავ ვაჟთან — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის პირველკლასელთა დათოსთან ერთად მოსულიყო. მამა — ყოფილმა ძალოსანმა, სიმძიმეების აწევაში სცადა ბედი, შვილ კი — სირბილში...

— აქაურობას არაფერი გვირჩ ვნია. თავისუფალ დროს მეც ჩემი ბიჭიც ამ ტყეში ვატარებ — გვითხრა ნოდარმა, — დავრბ ვართ, ვთამაშობთ ფრენბურთ ფეხბურთს, დათომ აქ ისწავლა ვ ლოსიპედით სიარული. პარკში მ შაობს ჯანმრთელობის ჯგუფი, რო მელსაც საზოგადოებრივი მწვრთნე ლი ვანო სვანიძე ხელმძღვანელობ როგორც ვიცი, მალე მოეწყობა „ჯ ნმრთელობის ბილიკი". გაკეთდებ გასახდელები, საშხაპეები... ერ სიტყვით, ჩვენი ტყე-პარკი უახლო მომავალში ჯანმრთელობის შესან შნავ კერად გადაიქცევა.

ერთხელ აკადემიკოსმა ნიკო კ ცხოველმა თქვა — დიღმის ტყ პარკი ნახევარ თბილისს ამარაგე ჟანგბადითო. გაზაფხულის იმ მზ ან დღესაც უჩვეულოდ გამოცოც ლებულ ტყე-პარკში ნებივრად ი მუშნებოდნენ ქოჩორაშემდგა

ფიჭვებ, მწვანედ ხასხასებდა ნ რჩი, ჯერ კიდევ უფერული ბალ ხი, ხეთა ტოტებში კი ისეთი გ ასი და სტვენა-გალობა ედგათ შვებს, რომ აქ შეკრებილი უამრ ხალხი ამ საკვირველი კონცერტ მსმენელები ეგონებოდა ადამია

„ლელოს" ბრიგა

მოდის გაზაფხული...

ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, გვარიანად წამოზრდილ ღიპზე დაიხედა, სინანულის ღიმილით გადააქნია თავი და მითხრა:

— არა, ძმაო, ვარჯიში თუ არ დავიწყე, ამას ისე არაფერი ეშველება. მაშ რა იქნება, კაცო, შინ — ვზივარ, ტრანსპორტში — ვზივარ, სამსახურში ხომ, ეჰ... მორჩა! ხვალიდან სიგარეტს გადავაგდებ, ჭამა-სმას მოვუკლებ, ბოტასებს ვიყიდი და... არა, ხვალ კვირაა, მაღაზიები დაკეტილი იქნება... აი, ორშაბათს... თუმცა, ორშაბათს იმდენი საქმე მაქვს, მაგისთვის ვერ მოვიცლი... ერთი სიტყვით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავიწყო ვარჯიში, თორემ...

ხშირად მოგვისმენია ამგვარი მონოლოგი, თავადაც ბევრჯერ გვითქვამს — დღეს რაღა იქნება, და ხვალიდან უსათუოდ ვარჯიში უნდა დავიწყოთ, მაგრამ თქმა ერთია და ქმნა კიდევ — მეორე.

ყველამ მშვენივრად ვიცით ჯანმრთელობის ფასი; ისიც საყოველთაოდ ცნობილია, ჯანმრთელობას გამუდმებული ვარჯიშით, სუფთა ჰაერზე სეირნობითა თუ სირბილით რომ შეინარჩუნებს კაცი, მაგრამ... მაგრამ საქმე ის არის, რომ დაწყება გვიჭირს, რაღას არ ვისაბაბებთ, რაღას არ ვიხდით მიზეზად, როგორმე იქით, შორეული მომავლისაკენ რომ გადავიტანოთ ეს დასაწყისი, არადა, დრო გადის, გაზაფხულს ზაფხული ენაცვლება, ზაფხულს — შემოდგომა, მერე ზამთარი... თანდათან ვმძიმდებით, შინ დაბრუნებულებმა მესამე სართულის კიბის ბაქანზე თუ არ შევიქაქანეთ, გული ყელში გვებჯინება, სუნთქვა გვიჭირს, მუხლები გვეკეცება. „არა, არა, ვარჯიში უნდა დავიწყო", — ვიმეორებთ გუნებაში და თან თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ, რადგან გვეშინია არავინ შეგვნიშნოს, არავინ დაინახოს ჩვენი გაფითრებული ლოყები, ოფლით დაცვარული შუბლი, აცახცახებული მუხლები.

გადის დრო. მუდამ გვახსოვს, რომ საჭიროა ვარჯიშის დაწყება, გულზე მძიმე, უსიამო ლოდად გვაწევს ეს ამბავი, მაგრამ რა ვქნათ, ვერ ვიცლით, ათასი საქმეა — შინაური, გარეული, სახლი, სამსახური, ბოლოს კი... თუმცა, მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ მეტს აღარაფერს ვიტყვი, აღარ აღვწერ ახლობელთა შეშინებულ სახეებს, აკანკალებული ხელით ჩაბღუჯულ ტელეფონის ყურმილს, სასწრაფო დახმარების მანქანის თავზარდამცემ სირენას, საავადმყოფოს ჩაჩუმებულ დერეფნებსა და რეანიმაციის ნალვლიან ოთახს, მითუმეტეს, რომ გარეთ ხეები გამოკვირტულან, აყვავებულან ნუშები და ჟერმები, ლამაზი პატარძლებივით მორთულან ატმებიც და მზვარეებზე პირველი ბალახი ამოსულა. იმშუშნება სიცოცხლის, განახლების ჟინით შეპყრობილი ბუნება, გრძნობს, როგორ მოდის გაზაფხული, გადარეული, გაფიცხებული ბედაურივით როგორ მოამტვრევს ზამთრის თოშს და რანაირად ერთვის ჯერ კიდევ სუსხიან ჰაერს მისი ზურგიდან ავარდნილი ცხელი ოხშივარი.

გაზაფხული ყველაზე უფრო შესაფერისი დროა ვარჯიშის დასაწყებად, ბოლოს და ბოლოს უნდა ვძლიოთ თავს, უნდა გადავდოთ ყველა საშური საქმე და საკუთარ ჯანმრთელობაზეც ვიზრუნოთ.

ნუგზარ შატაიძე.

საიმედო სტარტებ

სულ ახლახან „მფრინავ მოთხილამურეებს" კემეროვოს ოლქის დაბა მეჟდურეჩენსკი მასპინძლობდა. და აი, ესტაფეტა ტომსკმა მიიღო. აქ 40 და 70-მეტრიან ტრამპლინებზე გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა იუნიორთა შორის.

ზამთრის სპორტული სეზონის ბოლო სტარტი საქართველოს მხტომელებისათვის წარმატებული გამოდგა. 10 გუნდს შორის მათ პირველი ადგილი დაიკავეს და ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც არიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთის, მოსკოვის, ლენინგრადის გუნდები.

40-მეტრიან ტრამპლინზე უძლიერესი იყო 15 წლის ბაკურიანელი მოსწავლე კახა წაქაძე. იგი 51,5 და 51 მეტრზე გადახტა, 252,3 ქულა მოაგროვა და 1 ადგილზე გავიდა. კარგად იასპარეზა წალვერელმა ელგუჯა ორჯონიკიძემაც, რომელმაც მესამე შედეგი აჩვენა (243,1 ქულა, ხტომები 51,5 და 50,5 მეტრზე). მათ ოდნავ ჩამორჩნენ ბაკურიანელები ვალერი მინასიანი (237, 8 ქულა, IV ადგილი) და იბრაჰიმ გობოზოვი (218,6 ქულა, VI ადგილი).

შეჯიბრების პირობების თანახმად მეორე დღეს მხტომელებს გიგანტურ სლალომში უნდა ეცადათ ძალა. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ტოლი არავის დაუდეს და საგრძნობლად დაწინაურდნენ: პირველი იყო კ. წაქაძე (ორი ცდის ჯამში — 42,9 წამი), მეორე — ე. ორჯონიკიძე (43,1). მესამე — ცნობილი „მფრინავი მოთხილამურის", ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის იური სკვორცოვის ვაჟი — 15 წლის მოსკოველი სერგეი სკვორცოვი.

70-მეტრიან ტრამპლინზე ტოლი არ ჰყავდა ლენინგრადელ სერგეი კალუგინს — 248 ქულა (ხტომები 89 და 87 მ), რომელმაც 40-მეტრიან ტრამპლინზე მეორე შედეგი მოიპოვა (245,4 ქულა, ხტომები 50,5 და 51 მეტრზე). გამარჯვებულს 4,1 ქულით (ხტომები 85 და 90 მ.) ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ვალერი იარემოვი. ამ ტრამპლინზე საასპარეზოდ პერსონალურად დაუშვეს აგრეთვე წაქაძე და ორჯონიკიძე. „პატარა კობამ" აქაც ისახელა თავი — 84 და 86 მეტრზე გადახტა, 238,4 ქულა მოაგროვა და III ადგილზე გავიდა. სლალომის ტრასაზე კარგად იასპარეზა ბაკურიანელმა დათო დიაკონაშვილმა. იგი აქ პირველი იყო, ტრამპლინზე კი მხოლოდ მე-12 შედეგი აჩვენა.



ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მხტომელების, დინამოელი სპორტსმენების მიერ ზამთრის სეზონის მიწურულს მოპოვებული წარმატება რწმენას გვმატებს მომავალი სეზონისა და, რაც მთავარია, არ შორი, 1986 წლის ზამთრის VI რტაკიადისათვის (ეს ასპარეზ კვლავ კრასნოიარსკში გაიმართებ

მანამდე კი ჩვენს „მფრინავ მო ხილამურეებს" ელით ხელოვნ საფარიანი ტრამპლინები, მათ რის ბაკურიანის ე. წ. საზაფხულ ტრამპლინი. იმედი უნდა ვიქონი რომ სპორტსმენები და მ მწვრთნელები ზელიმხან თვაურ სარქის ხაჩატურიანი, ბექან ქ რიტაშვილი და სხვები ძალ-ღო არ დაიშურებენ ამ საინტერ სახეობის განვითარებისთვის, ხელგანთქმული ჩემპიონების კ წაქაძისა და მიხეილ გავას საუ თესო ტრადიციების აღორძინე სათვის.

ოთარ ოთარაშვილ

• • •

სურათზე: კახა წაქაძე.

ნუგზარ ქარელის ფოტ

8 აპრილს დაიწყო საკავშირო გათამაშება I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის,

ქუთაისის, ლანჩხუთის, ბათუმის კოლექტივებმა სტარტზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 5:1 (2:0).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 აპრილი.

„ტორპედო“: ტყებუჩავა, კოხტავა, ფრუიძე, თავაძე, კურტანიძე, ჯოხაძე, კორღალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე, თვარაძე (ბურკაძე), კვერნაძე (შენგელია).

„როტორი“: ვლადიუშჩენკოვი, მალუხინი, ნიკიტინი, სპელნიკოვი (მოროხინი), ვახიაევი, ჩუპინი, ფაიზულინი, ვანინი, დივაკი (პანტელეევი), ხუშჩიი, ვახილიევი.

მსაჯი ვ. ნოვიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:3.

არის მატჩები, როცა სადებიუტო ნაწილში მეტოქეები ნაკლებად მიმართავენ ურთიერთდაზვერვას და თამაში პირველი წუთებიდანვე საბრძოლო ხასიათს ღებულობს. ასე მოხდა 8 აპრილს, I ლიგის საკავშირო გათამაშების გახსნის დღეს, ქუთაისის სტადიონზე. ტორპედოელებს დაზვერვა არ დასჭირვებიათ, ისე დაიწყეს სწრაფი, ტემპიანი იერიშები, ხოლო „როტორს“ სხვა არაფერი დარჩენოდა თუ არა ის, რომ ასევე დაუზვერავად შესდგომოდა თავისი კარის მძიმე, ხანგრძლივ დაცვას, თამაშის დაწყებისთანავე სტუმართა საჯარიმო მოედანზე რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, ტორპედოელთა შეტევები წუთითაც არ შენელებულა, 21-ე წუთზე კი კორღალიძემ თავისი ფლანგური შეტევა ცენტრში გადაცემით დაამთავრა. აქ ყველას დაასწრო ჯოხაძემ, სწრაფად შეაფასა სიტუაცია და თავით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

ვოლგოგრადელებმა ერთხანს რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, აქ თამაშში რამდენიმეჯერ ჩაება მეკარე ტყებუჩავა, რომელმაც შემდგომშიც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი მოიგერია, ტაიმის დასასრულს ტორპედოელებმა მრავალსვლიანი საიერიშო კომბინაცია გაითამაშეს და კვერნაძემ მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

შესვენების შემდეგ ქუთაისელებს კვლავ სრული ტექნიკურ-ტაქტიკური და ტერიტორიული უპირატესობა ეპყრათ, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ანგარიშში: 57-ე წუთზე მესამე ბურთი გაიტანა მეგრელაძემ, მე-60 წუთზე კორღალიძემ პარტნიორების დაუხმარებლად შეასრულა რთული მანევრი და მეოთხედ აიღო მოპირდაპირე კარი, ხოლო 75-ე წუთზე მეგრელაძემ კარგად გამოიყენა ჯოხაძის გადაცემა — 5:0.

ერთადერთ საპასუხო წარმატებას ვოლგოგრადელებმა 87-ე წუთზე მიაღწიეს. ბურთი გაიტანა ვანინმა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ საუკეთესოდაა მომზადებული სეზონისთვის, მისი ფეხბურთელები საბრძოლო ფორმაში იმყოფებიან. ასეთმა ანგარიშმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ თითქოს, მეტოქე ამ დღეს სუსტად გამოიყურებოდა. ვოლგოგრადის „როტორი“ ძლიერი გუნდია, ამ დღესაც მთელი შესაძლებლობით იბრძოდა, ცდა და მონდომება არ დაუკლია, მაგრამ, ვიმეორებთ, ტორპედოელები საუცხოოდ თამაშობდნენ. ცალკეულ ფეხბურთელთა ჩამოთვლას არ შევუდგებით. „ტორპედომ“, კოლექტიური, ენერგიული, კომბინაციური თამაშით დიდი მოწონება დაიმსახურა გათამაშების სტარტზე.

გიორგი ბაქანიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1 (0:0).

ლანჩხუთი. „გურიას“ სტადიონი. 8 აპრილი.

„გურია“: მჭედლიძე, ცნობილაძე, გილიგაშვილი, ვერულაშვილი, წიკლაური (თევზაძე), ებანოიძე, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე, უგრელიძე, აკოფიანი.

„კოლოსი“: კირიენკო, გუსევი, ოვჩინიკოვი, პეტრაკოვი, ჟურავლიოვი, შუშინი, მაშნინი, კოხრიცკი, კორიუკოვი (ჩიჟიკი), კაზანკოვი (ცოლიადიუკი), პოგორელოვი.

მსაჯი ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

დუბლიორები — 0:1.

მასპინძელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი შალვა კაკაბაძე შეფიქრიანებული დაგვხვდა: „როგორ მოვუყაროთ თავი 11 ფეხბურთელს, გაუძლებენ კი ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეები მრავალნაცად „ნიკოპოლის“ შეტევებს?“ მწვრთნელის ეჭვი საფუძვლიანი იყო — ლესელიძეში გამართულ ამხანაგურ მატჩებში „გურიას“ მძიმე ტრავმების გამო 4 ძირითადი ფეხბურთელი გამოაკლდა — მელიქია, სანიკიძე, ხურცილავა და ფრიდონიშვილი. ამიტომ ლანჩხუთის გუნდი მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

მასპინძელთა მცველებს (რომელთა შორის გააზრებული თამაშით გამოირჩეოდა გილიგაშვილი) და მეკარე მჭედლიძეს დიდი ჯაფა დაადგათ იმისათვის, რომ პოგორელოვის, კაზანკოვის, შუშინისა და სხვათა სახიფათო კონტრიერიშები უვნებელეყოთ.

რაც შეეხება ლანჩხუთელთა გუნდს, პირველ ტაიმში „კოლოსის“ კართან მეტად მწვავე მომენტები შექმნეს უგრელიძემ, აკოფიანმა და მოსკოვის „დინამოდან“ გადმოსულმა ტყებუჩავამ. იერიშების დროს მათ კარგად უჭერდნენ მხარს ჩხაიძე და განსაკუთრებით დაუღალავი კოპალეიშვილი.

შესვენების შემდეგ ძლიერმა ქარმა და კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც მატჩის ბოლომდე გაგრძელდა, ყველაფერი წალეკა. 55-ე წუთზე მაშნინმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მჭედლიძემ მოიგერია ბურთი, მაგრამ მასთან ყველაზე ადრე პოგორელოვი გაჩნდა, რომლის განმეორებით დარტყმას გოლი მოჰყვა — 1:0. სამიოდე წუთის შემდეგ იგივე პოგორელოვის სწრაფი გარღვევა უვნებელყვეს გილიგაშვილმა და მჭედლიძემ. „გურიას“ კარს ზედიზედ ბომბავდნენ მცველებიც — ოვჩინიკოვი და პეტრაკოვი, მაგრამ ლანჩხუთელ ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარხმალი არ დაუყრიათ, ბოლო 15 წუთის მანძილზე კი თავბრუდამხვევი იერიში მიიტანეს „კოლოსის“ კარზე. აკოფიანის დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარეს მოხვდა ფეხზე, დაუბრუნდა მინდორს, მერე უგრელიძემ ააცილა მიზანს...

84-ე წუთზე მასპინძელთა ნახევარმცველი ებანოიძე ბურთიანად შეიჭრა ნიკოპოლელთა საჯარიმოში, ჩამოიტოვა მცველი და ძლიერად დაარტყა დაბალ, მეკარისაგან მორეულ კუთხეში — 1:1.

ასე გადარჩა სასტარტო ქულა მთელი გუნდის მონდომების შედეგად.

დასასრულს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ლანჩხუთელთა დიდი მონდომება ტრადიციული „ჯანმრთელობის დღესასწაულის“ დღისა და სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში. მოწონებას იმსახურებს სტადიონის მომზადება პირველი მატჩისადმი, მაღალ დონეზე შესრულებული რეკლამა, მატჩის ნაბეჭდი პროგრამა და ადგილობრივ გაზეთ „კომუნისტური შრომის“ სპეციალური გვერდი.

მაგრამ ერთი რამ: ლანჩხუთის სტადიონზე, ალბათ, ბოლოსდაბოლოს დამთავრდება ჩრდილოეთ ტრიბუნის მშენებლობა, რომელიც მესამე სეზონია ელის მშენებლებს.

ოთარ ნოზაძე.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

„დინამო“ (ბათუმი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0 (1:0).

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 8 აპრილი.

„დინამო“. მამინაშვილი, წუწუნავა, ანდღულაძე, ხვიმონიშვილი, დურდიაძე, ზედანია, თოფურია, ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე, ჩელებაძე.

„ყუბანი“: ბალახნინი, გარმაშოვი, პოდობედოვი, შლიუბული, კოტენოვი, ჩებოტარიოვი, ბლაგოიდა, კალეშინი, ანდრეიჩენკო (პლოშნიკი), კოლესოვი, სემენიუკი.

მსაჯი ი. დუდკო (ლვოვი).

დუბლიორები — 1:4.

ბათუმის დინამოელთა სტარტს I ლიგის საკავშირო გათამაშებაში შესანიშნავი ამინდი დაესწრო. „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები ხალხს ვერ იტევდა, საინტერესო თამაშის სანახავად ფეხბურთის მოყვარულები ახლომდებარე რაიონებიდანაც ჩამოვიდნენ.

„ყუბანი“ ამ ცოტა ხნის წინ უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, ამიტომ მის სიძლიერეზე ზედმეტია ლაპარაკი და რა სასიხარულოა, რომ ლიგის დებიუტანტებმა შეძლეს გამარჯვება დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში მოეპოვებინათ.

პირველი ურთიერთმოსინჯვის შემდეგ, მე-16 წუთზე, ბალახნინმა მეტად ძნელი ბურთი მოიგერია გორგილაძისგან. დინამოელებმა ამის შემდეგ რამდენიმე სახიფათო მომენტი კვლავ შექმნეს და ერთ-ერთი მათგანი გოლითაც დაამთავრეს. ეს მოხდა მეტად საინტერესო ვითარებაში: გარმაშოვმა აუტიდან ხელით მიაწოდა თავის მეკარეს ბურთი, მას მოუსწრო გორგილაძემ, რომელმაც მოატყუა ბალახნინი და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

ბათუმელებმა თავგამოდებით იბრძოლეს მიღწეული წარმატების შესანარჩუნებლად, დიდი ჯაფა დაადგათ შუა ხაზის მოთამაშეებს, განსაკუთრებით თოფურიას, ბაბუნიძეს და სხვებს. იყო მომენტი, როცა სტუმრებს საპასუხო ბურთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მამინაშვილმა შეძლო კალეშინის უძლიერესი დარტყმის მოგერიება.

ბოლო 20 წუთის მანძილზე კვლავ დინამოელები უტევდნენ, ერთხელ შელიამ ძელსაც მოახვედრა ბურთი. საბოლოოდ ბათუმელებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს წლევანდელ ტურნირში.

ოთარ მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი საკ. კორ.)

სხვა მატჩები

8 აპრილს გაიმართა I ლიგის გუნდების სხვა შეხვედრებიც: „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ირტიში“ (ომსკი) 0:1, „პამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1.

უმაღლესი ლიგა
გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 10 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	5	3	2	0	11-2	8
„ტორპედო“	5	3	1	1	5-3	7
„მეტალისტი“	5	2	3	0	5-3	7
ასკ რ.	5	3	0	2	8-6	6
„შახტიორი“	4	2	2	0	10-6	6
„სპარტაკი“	4	2	2	0	5-2	6
„დნეპრი“	5	2	1	2	7-7	5
„ზენიტი“	5	1	3	1	6-5	5
ცსკა	5	1	3	1	5-5	5
„ჩერნომორეცი“	5	2	0	3	5-7	4
„ნეფთჩი“	4	2	0	2	4-8	4
„დინამო“ მნ.	4	1	2	1	5-5	4
„ქაირათი“	5	1	2	2	7-9	4
„დინამო“ თბ.	5	1	2	2	2-4	4
„ქალგირისი“	5	0	4	1	4-7	4
„დინამო“ მ.	5	1	1	3	7-11	3
„არარატი“	5	1	0	4	8-10	2
„ფახთაქორი“	5	1	0	4	4-8	2

საქართველოს პირველობის გათამაშება II ჯგუფის გუნდებისთვის

აღმოსავლეთი ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „იორი“ (თიანეთი) 5:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „ქიზიყი“ (წნორი) 4:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „აბული“ (ახალქალაქი) 0:0, „იბერია“ (ქარელი) — „იმედი“ (რუსთავი) 0:0, „მაშავერა“ (დმანისი) — „განთიადი“ (კასპი) 0:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:2, „ბახტრიონი“ — „ზარზმა“ 2:0, „თრიალეთი“ — „გარეჯი“ 1:0, „განთიადი“ — „მშენებელი“ 4:2, „იმედი“ — „მაშავერა“ 0:2, „აბული“ — „იბერია“ 4:0, „ქიზიყი“ — „ვარძია“ 2:2, „იორი“ — „ალგეთი“ 2:3.

დასავლეთი ზონა

„შუქურა“ (ქობულეთი) — „ნარინჯი“ (ნატანები) 4:2, „ოდიში“ (ზედა ეწერი, ზუგდიდის რ-ნი) — „კოლმეურნე“ (ტყიბულის რ-ნი) 2:0, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ნარინჯი“ (გონიო, ხელვაჩაურის რ-ნი) 1:1, „კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „თოლია“ (ბათუმი) 1:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „რაჭა“ (ამბროლაური) 3:0, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „სენაკი“ (ცხაკაია) 4:2, „ნარუჯა“ (მახარაძე) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 1:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 3:2, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ნაპერწკალი“ (ოქუმი, გალის რ-ნი) 3:3, „ნარინჯი“ — „ნაპერწკალი“ 4:0, „ხვამლი“ — „კოლმეურნე“ (გულრიფში) 1:1, სუბტროპიკული ინსტიტუტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1:1, „სენაკი“ — „ნარუჯა“ 2:2, „რაჭა“ — „ავტომობილისტი“ 2:0, „თოლია“ — „იმერეთი“ 0:1, „ნარინჯი“ — „კოლხეთმშენი“ 2:1, „კოლმეურნე“ (ტყიბული) — „მეშახტე“ 2:0, „შუქურა“ — „ოდიში“ 2:1.

საქართველოს პირველობა

„შადრევანი-88“ (წყალტუბო) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1 (1:1).

წყალტუბო. ქალაქის სტადიონი. 8 აპრილი.

„შადრევანი“: ჯანელიძე, წიქარიშვილი, გვაძაბია, გოგოლაძე, ტეხოვი, ქვირია, გორგოძე, ფეხტვენიძე, ონიანი, სვანაძე, ხარაბაძე.

„საპოვნელა“: თაბაგარი, ჯანიაშვილი, ბერეკაშვილი, ბასილაძე, რუხაძე, ჯინიკაშვილი, სილაგაძე, ფარულავა, ჩინჩალაძე, ლომიძე, ნაცვლიშვილი (მალხ. უკლება).

მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი).

გააფრთხილეს ბასილაძე, ლომიძე, ჯანიაშვილი („საპოვნელა“).

საქართველოს ჩემპიონი ამ დღეს ზონის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ხვდებოდა. ამიტომ მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა კი თამაშის დასაწყისი საკმაოდ მოულოდნელად წარიმართა: მასპინძელთა პირველი იერიში პირველივე წუთზე გოლით დამთავრდა. მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთის მიღებისას სრულიად უმეთვალყუროდ აღმოჩნდა სვანაძე, მანაც შეუფერხებლად გამოიყენა ბურთის გატანის ეს უდავო შესაძლებლობა — 1:0.

მასპინძლებს პირველ ტაიმში საკმაოდ ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა, ამიტომაც მათი უპირატესობა საგრძნობი იყო, მაგრამ შეხვედრის დასაწყისში დაშვებული შეცდომა სტუმრებს აღარ გაუმეორებიათ. ისინი მოქმედებდნენ ორგანიზებულად, ყურადღებით მეურვეობდნენ წყალტუბოელთა შემტევ მოთამაშეებს და ყოველ ხელსაყრელ მომენტში საპასუხო იერიშზე გადადიოდნენ. მინდორზე მიმდინარეობდა საინტერესო, უშეღავათო ბრძოლა, მეტოქეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

სწორედ სტუმრების აქტიური თამაშის შედეგად მოხდა, რომ 43-ე წუთზე სილაგაძემ შორი მანძილიდან მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა, მეკარე ჯანელიძემ რეაგირება დააგვიანა და ბურთთან ერთად კარის ხაზს იქით აღმოჩნდა — 1:1.

შესვენების შემდეგ ქარი უკვე თერჯოლელებს ეხმარებოდა, მაგრამ, პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მათ გადაწყვიტეს მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებისთვის ეთამაშათ და თუმცა საბოლოოდ მიაღწიეს კიდეც დასახულ მიზანს, თამაშმა საგრძნობლად დაკარგა სანახაობრივი მიმზიდველობა, სიმწვავე და, შეიძლება ითქვას, ინტერესიც. მასპინძლები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ, მათ უამრავი საგოლე მომენტიც შექმნეს და თუ „საპოვნელა“ წაგებას გადაურჩა, გუნდი უპირველეს ყოვლისა უნდა უმადლოდეს გამოცდილი ფეხბურთელის ფარულავას და დაცვის ხაზების უნარიან თამაშს, აგრეთვე მეკარე თაბაგარის თავგანწირვას.

ახლა რამდენიმე სიტყვა ამ საინტერესო მატჩის სხვა მხარეებზე. სოხუმელმა მსაჯმა გ. გაბესკირიამ თანაქალაქელი ბ. ჩერნიახოვსკისა და გაგრელი ს. პრავოვის დახმარებით კარგად გაართვა თავი თავის მოვალეობებს. წყალტუბოს ხელმძღვანელი და სპორტული ორგანიზაციები რიგიანად მოემზადნენ ამ საპასუხისმგებლო მატჩის ჩასატარებლად, სტადიონისკენ მისასვლელ გზებზე მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული, მილიციის მუშაკები ფხიზლად მორიგეობდნენ უშუალოდ სტადიონზეც და მის ახლომდებარე ტერიტორიაზეც, დისციპლინა დამაკმაყოფილებელი იყო ტრიბუნებზე. რადიოინფორმატორი დროულად, გარკვევით აწვდიდა მაყურებლებს ყველა საჭირო ცნობას.

ახლა იმ გაფრთხილებათა შესახებ, რომლებიც დაიმსახურეს „საპოვნელას“ ფეხბურთელებმა. ლომიძე გააფრთხილეს იმის გამო, რომ ეკამათებოდა მსაჯს, ჯანიაშვილი განზრახ აჭიანურებდა დროს, მაგრამ, აი, ბასილაძემ კი სულ ტყუილად ჩაიწერა გაფრთხილება თავის „პირად საქმეში“. იყო საჭირო თუ არა, იგი არ იცავდა 9-მეტრიან დისტანციას, შენიშვნაც კი მიიღო არბიტრისგან და მერე, თავისი რომ აღარ დაიშალა, ყვითელი ბარათი „გამოსძალა“ გ. გაბესკირიას.

დაბოლოს, იმ ყოვლად დაუშვებელი დარღვევის შესახებ, რომელიც ტიპიურია საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდებისთვის: საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს დაზარალებული გუნდის მოთამაშეები ვალდებული არიან დაიცვან 9-მეტრიანი დისტანცია, ამ წესს კი თითქმის არც ერთი გუნდი არ იცავს და მსაჯებს ხელით უხდებათ მათი უკან დაწევა. გარდა ამისა, თითქმის ყოველ გუნდს ჰყავს თითო-ოროლა წინასწარ მომზადებული „სპეციალისტი“, რომელიც იქვე, ბურთის სიახლოვეს დგას და დემონსტრაციულად არ აძლევს დარტყმის საშუალებას მოპირდაპირე ფეხბურთელს. ამ მავნე ჩვევის აღმოსაფხვრელად უპირველეს ზომას არბიტრებმა უნდა მიმართონ და საჭიროების შემთხვევაში მინდვრიდანაც გააძევონ თამაშის წესის სისტემატური დამრღვევნი. ვფიქრობთ, ეს ზომა სათანადო შედეგს გამოიღებს.

როდიონ ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სხვა მატჩები

გასულ შაბათსა და კვირას გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის IV ტურის სხვა მატჩები.

აღმოსავლეთი ზონა. „იმედი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2, „სამგორი“ (გარდაბანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:7, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „თორი“ (ბორჯომი) — 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 0:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:1, „კახეთი“ (თელავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:0.

დასავლეთი ზონა. „გიგანტი“ (ლაითური) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (გაგრა) 2:2, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 2:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მზიური“ (გალი) 1:3, „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1.

პრეტენდენტთა მატჩის ირგვლივ

პარტიზანული ჭადრაკი

ვილნიუსის ხელოვნების მუშაკთა სასახლეში, სადაც ტარდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, მოეწყო საინტერესო გამოფენა — „ჭადრაკი ლიტვის მუზეუმების კოლექციებში“. ვესტიბიულში გამოფენილია ბალტიისპირელ ხელმარჯვე ოსტატთა მიერ ლიტვური ოქროსაგან — ქარვისაგან დამზადებული ფიგურათა კომპლექტები, ამავე მასალით ინკრუსტირებული დაფები. მაგრამ ყველა ამ კომპლექტზე ძვირფასია შეუხედავი, ხისაგან სახელდახელოდ გამოჭრილი და ქამთასელისაგან უკვე ჩაშავებული პატარა ფიგურები. ჟემაიტეს სახელობის პარტიზანული რაზმის მეომრებს სწორედ ამ ჭადრაკით უყვარდათ თამაში დასვენების წუთებში. ახლა რელიკვიად ქცეული პარტიზანული ჭადრაკი როკიშკისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ძველი და ახალი მისამართები

მთელი სამი კვირა ვილნიუსში შეკრებილი ანალიტიკოს-დიდოსტატთა და ოსტატთა რაზმი „წმინდა მამაკაცური“ იყო. ახლა კი ამ ოცდაათკაციან რაზმს შეუერთდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ქალი, საერთაშორისო დიდოსტატი ნანა ალექსანდრია.

— ვილნიუსთან მეტად თბილი მოგონებები მაკავშირებს, — თქვა სტუმარმა ქალმა, — 1980 წელს მე და ლვოველ მარტა ლიტინსკაიას სწორედ აქ გვქონდა ფინალური მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ჩემი გამარჯვებით დამთავრდა.

ვილნიუსში უთამაშია მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესაც, ოღონდ იგი დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. სხვათა შორის, მაშინ შეჯიბრება გაიმართა ისევ იმავე თეთრ დარბაზში, სადაც ახლა კასპაროვისა და სმისლოვის მატჩი მიმდინარეობს, 1983 წლის მიწურულს თავისი ჯილდოების კოლექციას ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი სწორედ ლიტვის დედაქალაქში დაუმატა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა.

ბევრად უფრო ადრე სწორედ ლიტვაში დაიწყო 64-უჯრიან დაფაზე ვაჟთა ბრძოლების მატიანე. 1912 წელს ვილნიუსში ჩატარდა სრულიად რუსეთის ტურნირი ალიოხინის, რუბინშტეინის, ნიმცოვიჩისა და სხვა ვარსკვლავების მონაწილეობით. ამ ქალაქში რამდენჯერმე მოეწყო სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატები.

ცოცხალი ენციკლოპედიები

ოცი წლის წინ ლიტვის ძველ დედაქალაქში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს ძვლისაგან გამოთლილი ჭადრაკის ათი ფიგურა, რომლებიც XIV—XV საუკუნეებს მიაკუთვნეს. ეს ფიგურები შეისწავლა მოსკოვიდან ჩამოსულმა ისტორიკოსმა ი. ლინდერმა, რომელმაც თავისი გამოკვლევის შედეგები აღწერა წიგნში „ჭადრაკი რუსეთში“. ბავშვობის წლებში ლინდერი „ნორჩ პიონერთა“ სტადიონის საჭადრაკო წრეში მეცადინეობდა სმისლოვთან ერთად. შემდეგ იგი ისტორიკოსად გაიტაცა. ლინდერმა დისერტაცია დაიცვა ჭადრაკის არქეოლოგიის თემაზე, არის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გამოქვეყნებული აქვს 12 წიგნი.

ასეთი „ცოცხალი ენციკლოპედიები“ ვილნიუსში მრავლად შეიკრიბნენ. სულ აქ ჩამოსულ სპეციალისტთა კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი წიგნი. ჭადრაკისადმი მიძღვნილი შრომების ავტორები არიან ამჟამად აქ მიმდინარე შეჯიბრების მთავარი მოქმედი გმირებიც — ვასილ სმისლოვი და გარი კასპაროვი, აგრეთვე მატჩის არბიტრი ვლადას მიკენასი, რომელმაც ჯერ კიდევ 1932 წელს გამოაქვეყნა ჭადრაკის სახელმძღვანელო და სათავე დაუდო ამ თამაშის შესახებ ლიტვური ლიტერატურის შექმნას.

გიწვევთ თბილისის ველოტრეკზე

თბილისის ველოტრეკზე დღეს დაიწყება და 13 აპრილამდე გასტანს საკავშირო ტურნირი ტრეკზე რბოლაში, რომლის პროგრამაშია სპრინტი, ჯგუფური რბოლა 75 და 100 წრეზე, შეჯიბრება „დერნის კვალზე“.

ტურნირში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირისა და სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდები. ოლიმპიური მომზადების ცენტრები (მათ შორის „ივერია“) მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სერგეი კოპილოვი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ემზარ გელაშვილი, მსოფლიო რეკორდსმენი 500 მეტრზე სვლაში ოთარ მჭედლიშვილი, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი მერაბ სურმავა, გენადი გოდუნოვი, იური ზიმენკოვი და სხვები.

11-16 აპრილს მოეწყობა საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა თბილისი — ფასანაური, თბილისი — გორი, თბილისი — მანავი, თბილისი — წითელი ხიდი. 15 აპრილს თბილისში გაიმართება კრიტერიუმი.

რბოლაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გამოდევნებით რბოლაში, იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის ნაკრები, სპორტსაზოგადოებების „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, ასკ-ს, „შრომითი რეზერვებისა“ და რუსთავის ველომრბოლთა გუნდები.

გაზაფხულის ტურნირის ლაურეატი

პოლონეთის ქალაქ პოზნანში დამთავრდა მეთერთმეტე საერთაშორისო ასპარეზობა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელსაც „გაზაფხულის ტურნირი“ ეწოდება. ყველას აჯობა 16 წლის ასტრახანელმა მოსწავლემ გალინა ბელოგლაზოვამ, რომელიც ყველა მეტოქისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მრავალჭიდში მისი შედეგია 38,85 ქულა.

ინფორმაცია

წარმატება, რომელიც გვეიმედება

ნებისმიერი წარმატება სპორტის რომელიც გნებავთ სახეობაში, თქმა არ უნდა, სასიხარულოა. მაგრამ გაცილებით დიდია სიხარული, როცა წარმატება ჩავარდნილ სახეობაშია მოპოვებული და გამარჯვებას ნორჩი სპორტსმენები აღწევენ.

ოთხი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი მოიპოვეს საქართველოს მოკრივეებმა დონეცკის საკავშირო ტურნირში საბჭოთა კავშირის გმირის პიოტრ ხარიტონოვის სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში, რომელიც წლეულს მეათედ ჩატარდა, 1969-70 წლებში დაბადებული 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. **საქართველოს კრივის სპორტული სკოლის (დირექტორი — ზურაბ გუნია) ნაკრები გუნდიდან გამარჯვება იზეიმეს ვანო გვრიტიშვილმა (35 კგ, მწვრთნელი — ირაკლი არაბული), ოთარ ხადოევმა (54, ვალერიან გოგუაძე), გელა ბეგაშვილმა (63) და ალექსანდრე ხარიევმა (66, ორივეს მწვრთნელი — ხოხო წინამძღვრიშვილი). მეორე ადგილი დაიკავა ლუხუმ თოთიაურმა (46), მესამე — შოთა ელიზბარაშვილმა (35) და გელა ლაზაროვმა (46).**

ტურნირის ახალი ვარსკვლავები

მინსკში დამთავრდა რაპირისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირი ბელორუსიის თასზე.

გაიმარჯვა ორჯონიკიძელმა სპორტსმენმა, 17 წლის ოლგა ველიჩკომ, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კორნელია ჰანიში (გფრ) — 8:3. III ადგილი ხვდა 19 წლის ზელენოგრადელ სტუდენტს ოლგა კისლიაკოვას.

გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გდრის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და უნგრეთის რაპირისტი ქალები

გამარჯვება მესამედ

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მესამე შეხვედრაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად მათ პენსილვანიის შტატის ქალაქ სტეტ-კოლეჯში გამართული შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 6:4.

საბჭოთა გუნდი მეორე იყო

სტოკჰოლმში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა ნაკრებს II ადგილი ხვდა.

ასპარეზობის ბოლო დღეს საბჭოთა წყალბურთელებმა ფრედ — 6:6 (2:1, 1:2, 1:2, 2:1) ითამაშეს ტურნირში გამარჯვებულ აშშ-ის გუნდთან.

თასი საბჭოთა მხტომელებს დარჩათ

ნორვეგიის ქალაქ ჰამარში საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა წყალში მხტომელთა შეჯიბრება ევროპის თასზე. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა 375 ქულა დააგროვეს და ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში. გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა გდრ-ის გუნდი. III ადგილი გფრ-ის წარმომადგენლებს ხვდათ — 331.

ქალთა შორის გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები — 194. II ადგილი დაიკავეს გდრ-ის სპორტსმენებმა — 185. III ადგილზე გავიდნენ გფრ-ის მხტომელები — 169..

ვაჟთა შეჯიბრებაში წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატებმა 6 ქულა წააგეს გდრ-ის სპორტსმენებთან (187) და II ადგილზე დარჩნენ. III ადგილი აქაც, ისევე როგორც ქალთა ასპარეზობაში, გფრ-ის წარმომადგენლებს ხვდათ — 168 ქულა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა პირად შეჯიბრებაშიც, სადაც ოთხივე ოქროს მედალი დაისაკუთრეს.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელ ქალთა შორის ასპარეზობის ბოლო დღეს მთავარი ჯილდო დაისაკუთრა ჩელიაბინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა ტატიანა ალიაბიევამ, რომელმაც ფინალში 539,64 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი ხვდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ჰაიდემარია გრეცკას — 501,09. III ადგილზე გავიდა ბრიტა ბალდუსი (გდრ) — 497,91. მეოთხე იყო 14 წლის პერმელი მოსწავლე ლუცია გაინუტდინოვა — 485,43.

ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში პირველი ორი ადგილი ხვდათ მინსკელ ანჟელა სტასიულევიჩს (467,25) და პენზელ ალა ლობანკინას (449,85). III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი ბიანკა მაიერი (430,89).

ვაჟთა შორის სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველად გაიმარჯვა მინსკელმა ვლადიმერ სემენკომ — 648,69. მან 11,94 ქულით ჩამოიტოვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ქრისტოფერ სნოუდი. მესამე იყო დიტერ ვასკოვი (გდრ) — 610,38.

მინსკელი ალექსანდრე პორტნოვი XII ადგილზეა.

მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, 27 წლის ერევნელმა დავით ამბარცუმიანმა ყველას აჯობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში — 615,5. II და III ადგილები დაიკავეს გდრ-ის წარმომადგენლებმა თომას კნუტსმა და დიტერ ვასკოვმა (611,46 და 589,59 შესაბამისად). ზაპოროჟიელი სერგეი გურილევი მეშვიდე იყო — 547,71.

იტალია — ჩეხოსლოვაკია 1:1

8 აპრილს რომში გაიმართა იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

33-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა იტალიელმა ბანიმ, შესვენების შემდეგ, 67-ე წუთზე, გრიგამ გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ იტალიელთა მწვრთნელი ე. ბეარზოტი ჯერ კიდევ განაგრძობს ექსპერიმენტებს, მის გუნდში 5 მსოფლიო ჩემპიონი იყო, სხვები კი — ახლადმოწვეულნი. ამ მატჩში ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელი ფ. ჰავრანეკი უკანასკნელად ხელმძღვანელობდა ნაკრებს. ამიერიდან გუნდს სათავეში ჩაუდგება ი. მასოპუსტი.

ინფორმაცია

რომაელებს სჯერათ „რომასი“

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის დარჩენილ ოთხ მაძიებელს შორის ერთ-ერთი ფავორიტია იტალიის შარშანდელი ჩემპიონი „რომა“ — გუნდი, რომლის სტადიონზეც დანიშნულია ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი. 30 მაისს რომის „სტადიო ოლიმპიკო“ საინტერესო სანახაობის მოწმე იქნება. მოუწევთ თუ არა მასპინძლებს საკუთარ სტადიონზე თამაში? ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო. წინ ნახევარფინალია...

არც „რომას“ საშინაო მდგომარეობაა ურიგო. ეროვნულ ჩემპიონატში იგი მეორე ადგილზეა, სამი ქულით ჩამორჩება ტურინის „იუვენტუსს“ და ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი ჯერ არ დაუკარგავს.

— რომში ნამდვილი საფეხბურთო განწყობილებაა. გულშემატკივართ სჯერათ ჩვენი, — ამბობს ბრუნო კონტი, „რომასა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი.

— რამდენი რომაელია „რომაში“? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა კონტის.

— მხოლოდ ორი — მე და გრაციანი. დანარჩენები იტალიის სხვადასხვა კუთხიდან არიან. გვყავს ბრაზილიელებიც, ნახევარდაცვას სწორედ ბრაზილიური დუეტი ხელმძღვანელობს — ფალკაო და სერეზო.

იტალიურ ფეხბურთში უცხოელთა თამაში ჩვეულებრივ ამბად იქცა. მათდამი ინტერესი მეტად დიდია. თავად განსაჯეთ: რობერტო ფალკაოს პირველ ვარჯიშს რომში 25 ათასი (!) მაყურებელი დაესწრო.

— რატომ ხდება, რომ იტალიაში ამდენი უცხოელი ვარსკვლავია? ეს ქვეყანა ხომ ამჟამად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს და წესით საკუთარი ძალებით უნდა შეძლოს მაღალი დონის ფეხბურთის თამაში.

— ვფიქრობ, რომ მარტო იტალიელებს გაუჭირდებოდათ ამის გაკეთება, — ამბობს „რომას“ მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი. თავად ლიდჰოლმიც უცხოელია — ეროვნებით შვედი, თუმცა 35 წელია იტალიაში ცხოვრობს.

ეს 61 წლის სპეციალისტი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. წარსულში იგი საკმაოდ ცნობილი თავდამსხმელი იყო. შვეციის ერთ-ერთ ჩემპიონატში ლიდჰოლმმა 23 გოლი გაიტანა, თამაშობდა შვეციის ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში 1958 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის წოდება მოიპოვა. გარდა ამისა, როგორც თვითონ ამბობს, იგი იტალიის ექვსგზის ჩემპიონია: ოთხჯერ როგორც ფეხბურთელი, ორჯერ როგორც მწვრთნელი. „რომას“ ლიდჰოლმი 1979 წლიდან ხელმძღვანელობს. „ერთ ადგილზე მუშაობით დავიღალე, მინდა ცოტა დავისვენო. კარგია, რომ წელს ჩემს კონტრაქტს ვადა გაუდის. ისე, გულიც მწყდება — კარგად ორგანიზებული გუნდი მყავს“, — ამბობს მწვრთნელი.

ბრუნო კონტი.

„რომაში“ ახლა მართლაც შესანიშნავი საფეხბურთო ანსამბლი შეიკრა. აქ თამაშობენ მეტად ძლიერი ფეხბურთელები ტანკრედი, მალდერა, ოდი, ნელა, რიგეტი... ნახევარდაცვაში, როგორც ზემოთაც ითქვა, ბადალი არ ჰყავთ რობერტო ფალკაოსა და ტონინიო სერეზოს. „რომას“ კაპიტანია აგოსტინო დი ბარტოლომეი. გუნდში გამოირჩევა აგრეთვე თავდამსხმელთა ტრიო რობერტო პრუცოს, ფრანჩესკო გრაციანისა და ბრუნო კონტის შემადგენლობით.

— ფეხბურთის გარდა თუ გაქვთ რამე პროფესია? ჰკითხეს კონტის.

— პროფესიით ფეხბურთელი ვარ, მამაჩემს ექვსი შვილი ჰყავს. იგი მუშა კაცია, ძმებსაც კარგი სამუშაო აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე დღესაც ვეხმარები ოჯახს, მშობლებს.

კონტი ახლა 29 წლისაა. როცა „რომაში“ მივიდა 15 წლის იყო, პირველი ოფიციალური მატჩი კი 18 წლისამ ითამაშა. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში მან იტალიის ნაკრების შვიდივე მატჩში მიიღო მონაწილეობა.

აი, როგორ აფასებს კონტი საკუთარ შესაძლებლობებს:

— ფეხბურთის ნიჭი ნამდვილად მაქვს, მაგრამ მარტო ნიჭი საკმარისი არ არის. საჭიროა სისტემატური, გულმოდგინე ვარჯიში.

გერმანულიდან თარგმნა კახმეგ კუდავამ.

რედაქტორი ა. გოგელია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 2ს. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05871

ИНДЕКС 66435